ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 204 (5754) 14 1976 წ. ოქტომბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პირველი წარმატება

კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ წრეში საქართველოს ნაკრებს ძნელი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. უკრაინის ნაკრები, რომელსაც ჩვენი მოჭიდავეები ხვდებოდნენ, ფიზიკურად ძლიერი, ტექნიკურად კარგად მომზადებული მოჭიდავეებით არის დაკომპლექტებული და საკავშირო რანგის უკანასკნელ წლებში გამართულ შეჯიბრებებში ყოველთვის ლიდერთა შორის იმყოფება. ასეთი მონოლითური კოლექტივის დამარცხება მხოლოდ მაღალი კლასის მოჭიდავეებით დაკომპლექტებულ გუნდს შეუძლია და ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების მომზადების დონეზე წარმოდგენის შესაქმნელად ეს შეხვედრა თვალსაჩინოების საუკეთესო საშუალება იყო.

მოზრდილთა შეხვედრაში თავის გუნდს პირველი გამარჯვება უკრაინის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ს. ვოზნიაკმა მოუტანა, რომელმაც ქულებით დაამარცხა ე. მარუაშვილი. ვირტუოზული ტექნიკა გამოავლინა თბილისის დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ბლაგიძემ. მან უკრაინის ჩემპიონთან, სპორტის ოსტატ ა. კოლესანთან შეხვედრაში 18 ქულის აღება შეძლო და აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა. დიდი გამოცდილების წყალობით უკრაინელმა ვ. კარატაევმა ახალგაზრდა, მზარდი ქართველი ოსტატი დ. ბაქრაძე დაამარცხა. გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ჯ. მეგრელიშვილის (საქართველო) შეხვედრა სპორტის ოსტატ გ. დაუგიალისთან. საფინალო გონგის შემდეგ მეტოქეებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (8-8) აღმოაჩნდათ, ჩატარებული ორქულიანი ილეთების უპირატესობით გამარჯვება მეგრელიშვილს მიენიჭა. სპორტის ოსტატებმა ა. აფრიამაშვილმა და ი. წიკლაურმა (ორივე — საქართველო) მოუგეს თავიანთ უკრაინელ მეტოქეებს ლ. ჩაიკას და ა. ანოხინს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ახალგაზრდებს შორის მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი ი. ბერიშვილი (საქართველო) უკრაინის გუნდის წევრს ა. ჰანკოტაძეს შეხვდა. ჰანკოტაძემ აგრესიულად დაიწყო ბრძოლა და ორქულიან უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბერიშვილმა 5 წუთსა და 35 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. დასანანი მარცხი იწვნია საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა მ. სალაძემ (საქართველო). იგი საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს დ. ზადვირნიაკს (უკრაინა) შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე უგებდა ანგარიშით 9:1, მაგრამ მოულოდნელად მოდუნდა და მეტოქეს ქულების გათანაბრების საშუალება მისცა — 9:9. ამასთან, ზადვირნიაკს ორქულიანი ილეთების მეტი რაოდენობა აღმოაჩნდა ჩატარებული და გამარჯვებაც მას დარჩა. ლამაზი გამარჯვება მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. მაისურაძემ (საქართველო), რომელმაც 1 წუთსა და 25 წამში ხალიჩას გააკრა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი, ი. პოდდუბნის სახელობის პრიზის წლევანდელი მფლობელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. კოტი.

იუნიორთა შეხვედრაში კარგად იჭიდავეს საქართველოს ნაკრების წევრებმა ვ. ბაგაევმა, თ. ხატიაშვილმა, ე. მაჩაიძემ, ზ. კუბუსიძემ და მ. ლეჟავამ, რომლებმაც წმინდად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები.

საქართველოს და უკრაინის ნაკრები კოლექტივების შეხვედრაში კომპლექსურ ჩათვლაში ანგარიშით 53:26 (მოზრდილები 28:11, იუნიორები — 25:15) წარმატება ქართველმა მოჭიდავეებმა მოიპოვეს.

ყაზახეთისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდების შეხვედრა საინტერესო გამოდგა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ბელორუსმა სპორტსმენებმა — 36:28.

ი. იუნაევი.

* * *



სურათებზე: ი. ბერიშვილისა (ზემოდან) და ა. ჰანკოტაძის შეხვედრის მომენტი; საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. მაისურაძე გამარჯვებას ულოცავს თავის აღსაზრდელს მ. ლეჟავას.

ავტორის ფოტოები.

ფუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში საკავშირო გუნდური თასის გათამაშების მეორე წრეში საქართველოს კლასიკურ მოჭიდავეთა ნაკრები სომხეთის კოლექტივს შეხვდა.

ქართველი მოჭიდავეები დიდი აღმავლობით იბრძოდნენ და მოზრდილთა შეხვედრებში ყველამ წმინდა გამარჯვება იზეიმა: ვ. ბლაგიძემ დაამარცხა მ. სოგრატიანი, დ. ბაქრაძემ — ჰ. პეტროსიანი, ჯ. მეგრელიშვილმა — რ. არსენიანი, ა. აფრიამაშვილმა — ა. მურადიანი, ი. ბერიშვილმა — ჰ. სააკიანი, ი. წიკლაურმა — ს. მკრტიჩიანი, ე. გოგლიჩიძემ — თ. აბრამიანი, მ. სალაძემ — ტ. პეტროსიანი. მძიმე წონაში სსრ კავშირის ჩემპიონმა შ. მორჩილაძემ 7 წამში ბეჭებზე დასცა სომხეთის ჩემპიონი ჰ. მანუჩარიანი. იუნიორთა შეხვედრაში ქართველ მოჭიდავეთაგან წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს რ. აბრამიშვილმა, ი. ჯუღელმა, ზ. კუბუსიძემ, მ. ლეჟავამ, კ. ნინიძემ და დ. ყიფიანმა. კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ამ ტურნირის სარეკორდო შედეგით — 63:16.

ყაზახეთის გუნდმა დაამარცხა აზერბაიჯანის ნაკრები — 43:36. საქართველო — რსფსრ-ს და მოსკოვი — ბელორუსიის მესამე წრის მატჩები გვიან დამთავრდა. დღეს გაიმართება ფინალური შეხვედრები.

ისრები — მიზანში

ჩემპიონი — ორი რეკორდით

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშვილდოსნობაში. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ლეკვეიშვილმა („სპარტაკი“), რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა, საქართველოს ორი რეკორდი დაამყარა — 90 მეტრიდან მ-1 ვარჯიშის მეორედ შესრულების დროს 279 ქულა მოაგროვა, ამავე მანძილზე ორდღიანი ასპარეზობის ჯამში კი — 540. ლეკვეიშვილი ჩემპიონი გახდა — 2272 ქულა.

გოგონათა შორის ყველა დისტანციაზე ასპარეზობა და მასთან ერთად საერთო პირველობა ასევე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ზამისლოვამ („ბურევესტნიკი“) მოიგო — 2223 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა „სპარტაკი“.

* * *

სურათებზე: ვ. ლეკვეიშვილი ასპარეზობის დროს; ა. ზამისლოვა „ცეცხლის ხაზზე“.

ო. გელაშვილის ფოტოები.

საპატიო წოდება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მრავალი წლის მანძილზე აქტიური და უმწიკვლო მსაჯობისთვის საკავშირო კატეგორიის მსაჯებს მიანიჭა სპორტში საპატიო მსაჯის წოდება. მათ შორის არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, წარსულში ცნობილი კალათბურთელი ლ. ფალავანდიშვილი.

ჩემპიონატის ქრონიკა

12 ოქტომბერს შედგა პირველობის 4 მატჩი.

„ტორპედო“ — „სპარტაკი“ 2:2. 56-ე წუთზე სპარტაკელები დააწინაურა ბულგაკოვმა. ეს გოლი გაქვითა გრიშინმა, ხოლო მცირე ხანს შემდეგ წინ უკვე „ტორპედო“ იყო (ხრაბროსტინი). 72-ე წუთზე ლოვჩევმა საბოლოოდ აღადგინა თანაფარდობა.

„კრილია სოვეტოვი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0. კუიბიშეველ ფეხბურთელებს გამარჯვება მოუტანა ფილიპოვის მიერ პენალტით გატანილმა ბურთმა. მინდვრიდან გააძევეს დინამოელი მახოვიკოვი.

„ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“ 2:0. გოლები გაიტანეს ლოგვინენკომ და შევჩენკომ.

„დნეპრი“ — „კარპატი“ 1:0. მატჩის ბედი გადაწყვიტა იაკოვლევის ერთადერთმა გოლმა. თამაში აღინიშნა ორმხრივი უხეშობით. მინდვრიდან გააძევეს ბროვარსკი („კარპატი“) და მასლოვი („დნეპრი“).

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	10	7	2	1	16—4	16
ცსკა	10	5	2	3	19—12	12
„კარპატი“	10	5	2	3	17—13	12
„სპარტაკი“	10	4	3	3	13—11	11
„დინამო“ მ.	10	5	1	4	9—7	11
„ზენიტი“	10	4	3	3	13—13	11
„დინამო“ თბ.	9	3	4	2	9—7	10
„ჩერნომორეცი“	10	5	0	5	10—15	10
„ლოკომოტივი“	10	4	1	5	10—11	9
„დინამო“ კ.	10	2	5	3	9—11	9
„დნეპრი“	10	4	1	5	9—12	9
„კრ. სოვეტ.“	10	3	3	4	9—12	9
„დინამო“ მნ.	10	2	4	4	8—10	8
„არარატი“	10	2	4	4	10—14	8
„შახტიორი“	9	2	3	4	6—6	7
„ზარია“	10	2	2	6	5—14	6

იმსაჯებენ რუმინელი არბიტრები

20 ოქტომბერს, როგორც ცნობილია, თბილისში შედგება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მერვედფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ბუდაპეშტის მტკ-ს შორის.

მატჩს მოემსახურება რუმინელ მსაჯთა ბრიგადა. არბიტრია კ. გიშა. მას დაეხმარებიან ბარბუშესკუ და ტუდორი.

1976

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

12 ოქტომბერს ქუთაისის ტორპედოელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ ნალჩიკში, ადგილობრივ „იალბუზთან“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 4:0, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 4:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „დაუგავა“ (რიგა) 3:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 2:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „რუბინი“ (ყაზანი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — ასკ (როსტოვი) 1:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქაირათი“	34	22	7	5	51—21	51
„ნეფთჩი“	35	20	10	5	62—29	50
„ფახთაქორი“	34	17	10	7	58—25	44
„ტავრია“	35	17	10	8	56—28	44
„ნისტრუ“	34	13	13	8	46—36	39
„ტორპედო“	35	12	14	9	42—33	38
„ზვეზდა“	34	13	11	10	47—41	37
„კუზბასი“	34	14	7	13	49—46	35
„კოლხოზჩი“	34	14	7	13	55—53	35
„პამირი“	34	13	9	12	37—41	35
„შინიკი“	34	13	7	14	36—36	33
ასკ რ.	35	12	9	14	37—38	33
„სპ.“ ი.-ფ.	34	12	9	13	38—46	33
„სპარტ.“ ორ.	34	9	13	12	34—45	31
„თერგი“	34	9	12	13	36—54	30
„მეტალურგი“	34	10	8	16	29—37	28
„რუბინი“	34	6	16	12	33—45	28
„ყუბანი“	34	9	7	18	30—60	25
„დაუგავა“	34	6	9	19	30—52	21
„იალბუზი“	34	4	6	24	27—67	14

„ოქროს თავთავის“ პრიზზე

ერევანი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სოფლის ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საკავშირო ფინალურ გათამაშებაში მორიგ წარმატებას მიაღწიეს საქართველოს წარგზავნილებმა. მათ ანგარიშით 5:2 დაამარცხეს თურქმენეთის ნაკრები.

გ. აკოფაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ანპილოგოვი

ხელბურთი თავის დროზე სპორტულ დღესასწაულად გვესახებოდა. იგი მეტეორივით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, უთვალავი გულშემატკივარი გაიჩინა და ჯემალ ცერცვაძის, თამაზ ანთაძის, ჯემალ აბაიშვილის, იმედო ფხაკაძის, ანზორ ექსეულიძისა და სხვა გამოჩენილ სპორტსმენთა კარიერის დამთავრების შემდეგ ერთბაშად გაფერმკრთალდა, ძალა მოაკლდა. განსაცვიფრებელი იყო სამოციან წლებში ქართული ხელბურთის ბუმი. განსაცვიფრებელი იყო ისიც, რომ პირველი ნაბიჯებიდანვე მან თავის წიაღში შვა საერთაშორისო კლასის ოსტატები. ეს იყო ალოგიკური პროცესი, რადგანაც ჩვენი ხელბურთი იმთავითვე დაფუძნდა კალათბურთის ბაზაზე, მაგრამ მალე შეიძინა თვითმყოფადობა და ავტორიტეტი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. დიახ, სამოციანი წლების ქართული ხელბურთი ახლა გვეჩვენება საოცარ ფენომენად. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ხელბურთს თავის დროზე მხოლოდ აწმყო ჰქონდა, აწმყოში არსებობდა წარსულის გარეშე. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მივედით სპორტის სასახლეში და გაოგნებული დავრჩით არა იმდენად ლამაზი სანახაობით, რამდენადაც შემსრულებელთა დახვეწილი ოსტატობით. თითქოს ისინი, „ბურევესტნიკის" გუნდის წევრები ამ სახეობის პიონერები კი არ იყვნენ, არამედ მრავლისმომსწრე, გამოცდილი და საკმაოდ შეთამაშებული სპორტსმენები. ჩვენ სპორტის სასახლეში დაგვხვდა მზა გუნდი, თავისი ნახაზით, ტექნიკითა და ტაქტიკით, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათამაშო ვირტუოზობით. სწორედ მაშინ შეიქმნა ლეგენდა ჯემალ ცერცვაძეზე, რომელმაც დამოუკიდებლად, სხვების დაუხმარებლად ხელბურთის ტრადიციული არსენალი გაამდიდრა არნახული, ექსტრავაგანტური ხერხებითა და ტექნიკური ილეთებით. კიდევ დიდხანს, დიდხანს ემახსოვრება მაყურებელს ხელბურთის საოცრება — ცერცვაძე, მსოფლიო მასშტაბის შემსრულებელი. ემახსოვრება მისი დიდი ხელოვნება, რომელიც შეფერადებული იყო სათამაშო იუმორით. გაიხსენეთ როგორ „მუსრავდა" იგი არა მარტო ახალბედა მეტოქეებს, არამედ ხელბურთში „ჭიპმოჭრილ" უნგრელებსა და პოლონელებს, იუგოსლავიელებსა და დანიელებს... მის ყოველ ილეთსა თუ შეგდებულ გოლს სხვა ლაზათი ჰქონდა...

გაიხსენეთ თამაზ ანთაძე, გულშემატკივრებში რატომღაც უფრო მეტსახელ „ფარჩოთი" ცნობილი. თუ ცერცვაძე ბრწყინავდა თვალისმომჭრელი ფინტებით, ანთაძე მიეკუთვნებოდა ეგრეთ წოდებულ აკადემიურ მოთამაშეთა კატეგორიას. როგორც შემსრულებელი, იგი ჩამოუვარდებოდა ცერცვაძეს, მაგრამ აღემატებოდა მას ორგანიზატორული ნიჭით, კოლექტიური თამაშისადმი მიდრეკილებით, ტაქტიკური აზროვნებით. იგი ერთ მუშტად ჰკრავდა კოლექტივს და ხელმძღვანელობდა იერიშისა და დაცვის დროსაც. როცა სხვადასხვა მიზეზის გამო ანთაძე მოედანზე არ გამოდიოდა, კოლექტივს აშკარად ეტყობოდა მისი არყოფნა. ეს იყო შეუცვლელი მოთამაშე იმ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც ამტკიცებს — შეუცვლელი მოთამაშეები არ არსებობენო. ყველაფერთან ერთად გუნდში მარტო ანთაძე არ კარგავდა თავს თამაშის თვით ყველაზე დრამატულ მომენტებშიც კი. თანაც, გვანცვიფრებდა მისი აუღელვებლობა, დიდსულოვნება, მოთმინების უნარი. დიახ, ლიდერისთვის ზოგჯერ მძიმე ტვირთია გუნდის ვარსკვლავების წრეგადასული აზარტი და ჭირვეულობა, მაგრამ ანთაძე ამ ტვირთს ღირსეულად ატარებდა. იქნებ ამიტომაც იყო იგი თამაშის შემდეგ ყველაზე ხშირად... ჰაერში, როცა გამარჯვებით აღტაცებული ხელბურთელები სიყვარულით „აბურთავებდნენ" თავიანთ ნაცად კაპიტანს.

ამ ორი ზედმიწევნით კოლორიტული ხელბურთელის ფონზეც კი კაშკაშებდა იმედო ფხაკაძის, ჯემალ აბაიშვილისა და ანზორ ექსეულიძის განსაცვიფრებელი სპორტული ტალანტი. ფხაკაძე გვაგონებდა გატყორცნილ ისარს, რომელიც მიაპობდა ყველაზე „დახუნძლულ" დაცვასაც კი. შესაძლოა, ზოგიერთს ცერცვაძისა და ანთაძის „ჩახვეული" მანევრების ფონზე მისი თამაშის მანერა ერთგვარად სწორხაზოვნად ეჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო უბრალოება, წარმომდგარი სირთულიდან, ღრმა ჩანაფიქრიდან, დახვეწილი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალიდან. ვერც ერთი „კედელი" ვერ უძლებდა მის შეუპოვარ თვალშეუვლებ იერიშებს და ეს იყო სწორედ ტანმორჩილი ქართული „ტანკის" უპირველესი კოზირი.

გაიხსენეთ ჯემალ აბაიშვილი, ცოტა არ იყოს, ქოლერიკული ტემპერამენტის მოთამაშე. მაგრამ სწორედ ასეთი უნდა იყოს „გიჟმაჟი" გუნდის მეკარე, აუჩქარებელი, წყნარი. სიტყვა „აუჩქარებელი" შემთხვევით არ გვიხმარია. სინამდვილეში აბაიშვილი, როგორც მეკარეს შეჰფერის, კარის დაცვისას ჩქარობდა, მაგრამ ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „ჩქარობდა აუჩქარებლად", ანუ თავის საქმეს ზედმეტი ფუსფუსისა და ფაცი-ფუცის გარეშე აკეთებდა. როცა ამბობენ, მეკარე ლამის გუნდის ნახევარიაო, ეს სწორედ ჯემალ აბაიშვილზე იყო ზედგამოჭრილი.

თუმცა სამოციანი წლების ლეგენდარული გუნდის მოთამაშეებზე ყველა მეტოქე „ნადირობდა", ანზორ ექსეულიძეს მათგან ყველაზე მეტი ჯაფა ადგა. არც ერთ მოთამაშეს არ მიუღია თამაშისას იმდენი მუჯლუგუნი, იმდენი ტრავმა, რამდენიც „ბურევესტნიკის" ცენტრს. მისი სათამაშო ადგილი თავისებური „სეისმური" ზონა იყო, საიდანაც ექსეულიძეს გამუდმებით ერეკებოდნენ აგრესიული ვიზავები, მაგრამ იგი, გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ, კედელივით იდგა და პირდაპირ კბილებით გაჰქონდა არც თუ ისე ეფექტური, მაგრამ გუნდისთვის ესოდენ საჭირო გოლები. დაცვაში მას ტოლი არ ჰყავდა, ხოლო მისი თავგანწირვა პირდაპირ შეუდარებელი იყო.

„დიდი გუნდის" სხვა წევრებიც ქმნიდნენ იმ ანსამბლს, რომელიც მაყურებელს გამარჯვებებთან ერთად ულამაზესი თამაშით აჯილდოებდნენ. ყველაზე ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ მათი სახელები უთუოდ დაამშვენებს ქართული ხელბურთის ისტორიას.

ნერილის ექსპოზიცია ცოტათი გაგვიგრძელდა, მაგრამ უამისოდ ძნელი ასახსნელია, როგორ გამოჩნდა ქართულ სპორტში ალექსანდრე ანპილოგოვი, მსოფლიო კლასის მოთამაშე. დიახ, ქართული ხელბურთის ზემოთ დასახელებული „კლასიკოსები" რომ არა, 60-ანი წლების „დიდი გუნდის" ტრადიციები რომ არა, არ იქნებოდა არც ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი საშა ანპილოგოვი. მან თავად მთხოვა, თუ ჩემზე დაწერთ, ჩემს სიმბოლურ მასწავლებლებზეც ილაპარაკეთო. საშას ახსოვს „დიდი გუნდის" წევრების თამაში და ბავშვობაში ეს მისთვის საუკეთესო თვალსაჩინო სკოლა იყო. ამ სიყვარულს, რასაც ხელბურთი ჰქვია, მან ვერ უღალატა მაშინაც კი, როცა სიმაღლეში „კატასტროფულად" დაიწყო მატება და საცა წესი და რიგია, კალათბურთს უნდა დაკავშირებოდა. თოთხმეტი წლისა სიმაღლით უკვე 190 სანტიმეტრს აღწევდა, ორიოდე წლის შემდეგ უკვე 196 სანტიმეტრი იყო, ცოტა ხნის შემდეგ 206 სანტიმეტრი გახდა. მას „მუშტრის" თვალით უყურებდნენ თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა მწვრთნელები, მიიწვიეს კიდეც გუნდში, მაგრამ საშა გრძნობდა, რომ მისი მოწოდება ხელბურთი იყო.

როგორ ყალიბდება სპორტსმენი? ამ კითხვაზე ერთ პასუხს ვერ გასცემ, ყველა თავისი გზით ვითარდება. 196 სანტიმეტრი სიმაღლის მქონე საშა ანპილოგოვი, მორცხვი და მოუქნელი ყმაწვილი, მხოლოდ 56 კილოგრამს იწონიდა, ანუ ხელბურთელის კვალობაზე ბუმბულივით მსუბუქი იყო. სპორტს უნდა მოეხდინა სასწაული — გამხდარი, სუსტი და „აუწყობელი" მოზარდი კუნთმაგარ ათლეტად უნდა ექცია. სპორტმა პირნათლად შეასრულა თავისი მისია. რამდენიმე წელიწადში საშა იმდენად მოღონიერდა, რომ ვეღარავინ იტყოდა, ეს სპორტსმენია თუ არაო. ერთი სიტყვით, როცა ხელბურთს დაეწაფა, ეს იყო 1968 წელი, საშა და მისი მშობლები არ ოცნებობდნენ სპორტულ დიდებაზე. მათი უპირველესი მიზანი გახლდათ ჭაბუკი ფიზიკურად მძლავრი და მოქნილი ყოფილიყო.

ახლა, როცა საშა ანპილოგოვმა უკან მოიტოვა მონრეალის ოლიმპიადა, ამაზე ლაპარაკი მხოლოდ ღიმილს გამოიწვევს. გიგანტური სიმაღლის ხელბურთელი ჰარმონიულადაა ნაწრთობ-განვითარებული და კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი: მართალი გითხრათ, როცა ამ რამდენიმე დღის წინ საშა ვარჯიშზე ვნახე, არ მჯეროდა, თუ იგი 206 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, იმდენად მკვირცხლად, სწრაფად და ძალდაუტანებლად მოძრაობდა მოედანზე, იმდენად მსუბუქად დაჰქონდა უზარმაზარი სხეული. იგი არ არის ტრადიციული ცენტრი ან თავდამსხმელი. არა, მას მოედნის ნებისმიერ წერტილში ნახავთ. თუ საჭიროა, საშა გამთამაშებელია, ცენტრია, მცველია. ერთი სიტყვით, ეს არის უნივერსალური მოთამაშე, ახალი, თანამედროვე ყაიდის ხელბურთელი.

ბევრი რამ მოასწრო საშა ანპილოგოვმა 22 წლის ასაკში. ჯერ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი გახდა და მოსწავლეთა საკავშირო პირველობის ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, შემდეგ ნიჭიერი ხელბურთელი „ბურევესტნიკში" მიიწვიეს. აქ სრული ძალით გამობრწყინდა მისი ჭეშმარიტი ძალა და უნარი. მაშინ საკავშირო სპარტაკიადაზე საშა ანპილოგოვმა რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა. ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა სწორედ ამ სპარტაკიადის მერე გადაწყვიტეს იგი ოლიმპიური გუნდის კანდიდატად დაესახელებინათ.

„— ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო. მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ სპარტაკიადის დღეებში აღვიდგენდი სპორტულ ფორმას. მენისკის ოპერაცია ახალი გაკეთებული მქონდა, ამას დაერთო კიდევ რამდენიმე მძიმე ტრავმა. ვარჯიშის ნაცვლად მეტ დროს საავადმყოფოებში ვატარებდი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ჭრილობები მოვიშუშე. მაინც, ვფიქრობ, სპარტაკიადაზე სრულად ვერ გამოვავლინე ჩემი შესაძლებლობანი. სერიოზული ვარჯიში მხოლოდ ამ შეჯიბრების შემდეგ დავიწყე. ლესელიძეში ბურთს თითქმის არ გავკარებივარ, სპეციალურ ვარჯიშებს ვატარებდი ფიზიკური მზადყოფნისთვის. თუკი ვინმე დამეხმარა ფეხზე დადგომაში, ეს უპირველეს ყოვლისა იყო იმედო ფხაკაძე, ჩემი მწვრთნელი, ადამია-

პროფკავშირების სპარტაკიადა

ერთი შეჯიბრების ორი აღმოჩენა

ძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენოთ, რომ რაც მეტია არჩევანი, მით უკეთესია ხარისხი. საქართველოს წყალში მხტომელთა მწვრთნელებს კი არჩევანი მუდამ მცირე ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, აგერ უკვე ერთი ათეული წელია, რაც საქართველოს წყალში მხტომელთა შეჯიბრებებს ვადევნებ თვალყურს. ამ ხნის მანძილზე, რაც უნდა კმაყოფილს დაგვეტოვებინა წყალში მხტომელთა სარბიელი, გულში ერთი რამ მაინც ხინჯად გვრჩებოდა — შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა ხშირად ორ ათეულსაც არ აღემატებოდა.

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ახალგაზრდული გუნდების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულმა წყალში მხტომელთა შეჯიბრებამ ამ მხრივ სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა. ასპარეზობაში 40-მდე სპორტსმენი ჩაება. მაგრამ აქ საქმე მხოლოდ რაოდენობაში არ გახლავთ. შეჯიბრების ბევრი მონაწილის ასაკი 10-12 წელი იყო. საერთოდ კი, შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. უფროს ასაკში შედიოდნენ 1959-60 წლებში, ხოლო უმცროს ასაკში — 1961 წელსა და უფრო გვიან დაბადებული ბავშვები.

ახლა მკითხველის ყურადღება გვინდა შეჯიბრების ერთ-ერთ მონაწილეზე, განთიადელ სპარტაკ ჯიოშვილზე შევაჩეროთ. არა, სპარტაკს არც საპატიო კვარცხლბეკამდე მიუღწევია და არც რაიმე განსაკუთრებული ნახტომი შეუსრულებია. უბრალოდ, იგი შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილე გახლდათ. ეს ბიჭუნა სულ 8 წლისაა და ჯერ ათიოდე თვეც არ არის, რაც წყალში ხტომას ეზიარა.

უნდა გენახათ, რა გაბედულად ხტებოდა იგი. სპარტაკი ამას უბრალოდ, ძალდაუტანებლად, თამამად აკეთებდა. ამ ბიჭუნამ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

ერთი სიტყვით, სპარტაკი ამ შეჯიბრების აღმოჩენაა.

ამ შეჯიბრების აღმოჩენაა აგრეთვე, 10 წლის ლ. ბელოვა. იგი უმცროსი ასაკის ჯგუფში გამოდიოდა. პირველად ავიდა რესპუბლიკური შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკზე, თანაც უმაღლესზე.

შეჯიბრების პრიზიორთა შორის კიდევ რამდენიმე ახალ გვარს ვხედავთ. ესენი არიან: ბიჭებში — თ. ნებიერიძე, გ. პატარაია, ა. ფილიპოვი და დ. უხოვი, ხოლო გოგონებში — ლ. ხრიკული. დანარჩენ პრიზიორებსა თუ გამარჯვებულებს მეტნაკლებად წინათაც გამოუჩენიათ თავი, ზოგს საქალაქო, ზოგსაც რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე.

რადგან სიტყვა წარმატებებზე ჩამოვარდა, ერთ ინფორმაციას მოგაწვდით:

ახლახან ბაქოში დამთავრებულ ამიერკავკასიის ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ თბილისელი სპორტსმენები. უფროსი ასაკის გოგონებს შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა მ. ნოზაძემ, ხოლო მისი თანაგუნდელი ვ. კუროჩკინი ასევე უძლიერესი იყო ამავე სახეობაში უფროსი ასაკის ვაჟებს შორის.

უმცროსთა შეჯიბრებაში II ადგილები დაიკავეს ლ. ღონღაძემ და ს. ელბაქიძემ. პირველმა გოგონებს შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ხოლო მეორემ — კოშკიდან მოხტუნავე ვაჟებში.

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში გამართულ შეჯიბრებას, რომელმაც კიდევ ერთი ფაქტით გვასიამოვნა. ასპარეზობაში „კოლმეურნეს" სპორტსმენებიც გამოჩნდნენ. დებიუტი წარმატებით დაგვირგვინდა. მათ III ადგილი დაიკავეს განთიადელთა და ბურევესტნიკელთა შემდეგ. „სპარტაკს" კი ბოლო — IV ადგილი ხვდა.

როგორც ხედავთ, მასობრიობამ იმატა, ეს კი მომავალ წარმატებათა ერთ-ერთი საწინდარია. რაც შეეხება შეჯიბრების მონაწილეთა მაჩვენებლებს, ყველა უმცროსი ასაკის სპორტსმენმა II თანრიგის (ისინი II თანრიგის პროგრამით გამოდიოდნენ) ნორმატივი შეასრულა. უფროსები კი ოსტატობის კანდიდატის პროგრამით ასპარეზობდნენ. შესაბამისი ნორმატივები შეასრულეს ი. გუტიაკულოვამ, ა. სოლოვიოვმა და ს. ელბაქიძემ. ამას გარდა ნაჩვენებია კიდევ ექვსი I თანრიგის შედეგი.

ა. გურასაშვილი.

ტექნიკური შედეგები

გოგონები. უმცროსი ასაკი. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ლ. ბელოვა — 234,21 ქულა, ლ. ღონღაძე — 214,41, ლ. ხრიკული (ყველა — „განთიადი") — 193,38; **კოშკი.** ღონღაძე — 177,42, ბელოვა — 155,79, ხრიკული — 123,36. **უფროსი ასაკი. 1-მეტრიანი ტრამპლინი.** ი. გუტიაკულოვა („განთიადი") — 391,47, ნ. ნიკოლაშვილი („ბურევესტნიკი") — 329,19, მ. ნოზაძე („განთიადი") — 320,94; **კოშკი.** ნოზაძე—273,07, გუტიაკულოვა — 171,72.

ბიჭები. უმცროსი ასაკი. 1-მეტრიანი ტრამპლინი. ა. გალუსტიანი („ბურევესტნიკი") — 238,83, თ. ნებიერიძე — 227,16, გ. პატარაია (ორივე — „განთიადი") — 227,12; **კოშკი.** გალუსტიანი — 179,58, ა. ფილიპოვი („კოლმეურნე") — 150,87, დ. უხოვი („ბურევესტნიკი") — 115,00. **უფროსი ასაკი. 1-მეტრიანი ტრამპლინი.** ი. სოლოვიოვი — 428,28, ს. ელბაქიძე (ორივე — „განთიადი") — 416,79, ვ. კუროჩკინი („ბურევესტნიკი") — 404,37; **კოშკი.** ელბაქიძე — 371,55, მესუმიანი („განთიადი") — 357,69, სოლოვიოვი — 315,30.

სურათებზე: ი. გუტიაკულოვა; მ. ნოზაძე.

ავტორის ფოტოები.

ახმეტელებმა ყველა ჩამოიტოვეს

ზუგდიდში ჩატარდა „კოლმეურნის" ზონალური და ფინალური პირველობები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ზონალურ პირველობაში, რომელშიც 16 რაიონის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, ყველას ზუგდიდის „კოლმეურნის" რაისაბჭოს ნაკრებმა აჯობა.

ცენტრალური საბჭოს ფინალურ ასპარეზობაში ძალებს ცდიდნენ ზონებში გამარჯვებული — ახმეტისა და ზუგდიდის რაიონების, აგრეთვე, აფხაზეთისა და აჭარის საოლქო საბჭოების კოლექტივები. გაიმარჯვა ახმეტის რაიონის გუნდმა, II ადგილზე არიან ზუგდიდის რაიონის სპორტსმენები, III — აჭარის ნიშნოსნები.

ქ. ფიფია.

ზუგდიდი.

„მე უფრო შემიყვარდა ხელბურთი“

ნი, რომელიც დიდად მეხმარება სპორტშიც და ცხოვრებაშიც.

ნაკრებში პირველად ვითამაშე იური კლიმოვთან, ვლადიმერ მაქსიმოვთან და სხვებთან, რომლებიც საბჭოთა ხელბურთის დიდოსტატები არიან. სითამამეში ნუ ჩამომართმევთ: მინდოდა მათთვისაც და მწვრთნელებისთვისაც დამემტკიცებინა, რომ საქართველოში დღემდე კარგად გაეგებათ ხელბურთის ყადრი და ჩვენს მოთამაშეებს ძალუძთ უმაღლეს დონეზე გამოსვლა“.

საშა ანპილოგოვმა დიდი ხნის შემდეგ საქართველოს ხელბურთელთაგან პირველად შეაღო ნაკრების კარი, რომელიც სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ჩვენთვის დახშული იყო. ძნელია გადავაფასოთ ამ საგულისხმო ფაქტის მნიშვნელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ხელბურთის ტრადიციებზე აღზრდილ სპორტსმენებს შეუძლიათ ქვეყნის საუკეთესო ხელბურთელების დონეზე თამაში. თვით ის სასიხარულო ფაქტი, რომ რესპუბლიკის ნაკრები ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ადასტურებს აზრს — ქართული ხელბურთი იბრუნებს დაკარგულ ძალას, იგი კონკურენციას უწევს ქვეყნის საუკეთესო გუნდებს. და აი, მონრეალში ჩვენმა ხელბურთმა ამ მოსაზრების დასტურად მიიღო ნანატრი ოლიმპიური მედალი. ახლა თითქმის არ დარჩა სპორტის ისეთი სახეობა, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ოლიმპიელებს ჯილდო არ მოეხვეჭოთ. თავისი მივუზღათ ანპილოგოვს — მან „გააქრო“ რესპუბლიკის ოლიმპიურ რუქაზე კიდევ ერთი თეთრი ადგილი.

სწორია თუ არა, როცა ოლიმპიადის ტრიუმფატორებს, როგორც კი ისინი მოამთავრებენ შეჯიბრებას, მაშინვე სთხოვენ ვრცელ ინტერვიუს, ასპარეზობის დაწვრილებით ანალიზს? რა თქმა უნდა, გულშემატკივრებს აინტერესებთ შეიტყონ რაიმე ოლიმპიელებისგან, მაგრამ გარდახდილი ბრძოლებით გაოგნებული სპორტსმენები, ვიყოთ გულახდილნი, ცხელ გულზე ერთობ ზოგად პასუხებს იძლევიან. ვფიქრობ, ინტერვიუ, რომელიც საშა ანპილოგოვმა მომცა, ბევრნაირად საგულისხმო იქნება მკითხველებისთვის. ოლიმპიურმა ქარიშხალმა ხომ უკვე კარგა ხანია გადაიქუხა და მისგან მიღებული შთაბეჭდილებანი დალვინდა.

„— ოლიმპიადაზე მწვრთნელებს, როგორც წესი, გამოცდილი სპორტსმენები მიჰყავთ. ახალგაზრდებს, გამოუცდელებს აგრერიგად არ ენდობიან. ჩემი აზრით, ეს სწორია. მაგრამ ჩემი მაგალითი? მე ხომ წლევანდლამდე ნაკრებში არ მითამაშია. ძლიერ გუნდებთან გამოცდა არ გამევლო და აი, მწვრთნელებმა გადაწყვიტეს. ეს დანაკლისი შევვსოთ ენით აუწერელი დაძაბულობის ვარჯიშებითა და „საგასტროლო“ ტურნირებით. ავსტრია, იუგოსლავია, ესპანეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა... აი, ის ქვეყნები, სადაც წინასაოლიმპიადო შეხვედრები მოაწყო ნაკრებმა. ერთი ხანობა ისე გამიჭირდა, ვიფიქრე ასეთ დაძაბულობას ვერ გავუძლებ-მეთქი. მაგრამ თანდათან ავყევი ნაკრების რიტმს და ბოლოს კოლექტივის სრულფასოვან წევრად ვიგრძენი თავი. თურმე არაფერია იმაზე უარესი, როცა ვერ ეწყობი შეხმატკბილებული გუნდის თამაშს. შეიძლება ინდივიდუალურად ზედმიწევნით ძლიერი სპორტსმენი იყო, მაგრამ კოლექტივში საკუთარი ადგილი ვერ მოძებნო. დიახ, მთავარი ყოფილა თამაშის კოლექტიური პრინციპების გაგება და ცოდნა. გარდა ამისა, თუ მებრძოლის თვისებები არ აღმოგაჩნდა, ნაკრებში დაუყოვნებლივ გეტყვიან — „მშვიდობითო“. ეტყობა, რადგანაც გუნდის 14 წევრში მოვხვდი, მწვრთნელებმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ჩემი თამაში. ძალიან გამომადგა წინასაოლიმპიადო „გაწამაწია“. მე მივხვდი — თუკი ნაკრებში ვარჯიში და გუნდში მოხვედრა ასეთი ძნელი ყოფილა, თავად ოლიმპიადა რა საძნელო საქმე უნდა იყოს-მეთქი. მაგრამ ამ დროისთვის მე ყველანაირი გამოცდისთვის ვიყავი მზად. და მაინც, ოლიმპიადა გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი“.

პირველი თამაში საბჭოთა ნაკრებს იაპონიასთან ჰქონდა. ტანდაბალმა, ხელბურთში შედარებით გაუთვითცნობიერებელმა იაპონელებმა ვერაფერი გააწყვეს მრისხანე მეტოქესთან და დამარცხდნენ (26:16). თუმცა, მათივე აღიარებით, თავიანთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს.

ოლიმპიადის მასპინძლებთან — კანადელებთან თამაში არ უნდა ყოფილიყო ძნელი, მაგრამ თამაშის შედეგს მუდამ სპორტული სიძლიერე როდი წყვეტს. მოგეხსენებათ შინაური კედლების ამბავი, ამას დაუმატეთ მიდრეკილება უხეში, ძალისმიერი თამაშისადმი, რომელიც კანადელ ხელბურთელებს თავიანთი ჰოკეისტებისგან აქვთ გადმოღებული. თავიდან მაყურებლები ფანატიკურად უჭერდნენ მხარს თავიანთ გუნდს, მაგრამ მატჩის დასასრულს, ჩვენი გუნდის ოსტატობით მოხიბლულნი, ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს საბჭოთა სპორტსმენებს. „ამ თამაში, ჩემი აზრით, საუკეთესო იყო ჩერნიშოვი, მისმა ფინტებმა კალაპოტიდან ამოაგდო კანადელთა დაცვა. ჩერნიშოვი ძალიან სამეგობრო კაცია, რბილი ხასიათი აქვს, მაგრამ მოედანზე ნურას უკაცრავად, არაფერს დათმობს. იგი თამაშის დროს ცეკვავდა, დიახ, პირდაპირი გაგებით, ცეკვავდა იღბლიანი კომბინაციის შემდეგ. იგი საერთოდ კარგად ცეკვავს“.

იაპონელებთან და კანადელებთან ჩვენი გუნდის თამაში იოლ გასეირნებას ჰგავდა მესამე მატჩთან შედარებით. ქვეჯგუფში I ადგილისთვის ბრძოლაში საბჭოთა ნაკრებს შეხვდა მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონი — იუგოსლავიის გუნდი. ეს თამაში უმკაცრესი გამოცდა იყო თვით ყველაზე გამოცდილი საბჭოთა ხელბურთელებისთვის და წარმოსადგენია, როგორ ღელავდა ნაკრების დებიუტანტი საშა ანპილოგოვი.

„— მოლოდინის საწინააღმდეგოდ იუგოსლავიელებთან მატჩის დებიუტი ჩვენთვის იოლად წარიმართა. მაგრამ შემდეგ მეტოქეებმა მკვეთრად გააძლიერეს თამაში და ინიციატივა ხელში ჩაიგდეს. გადიოდა დრო და ჩვენ მატჩის არასასურველი მსვლელობა ვერა და ვერ შევცვალეთ. დავიწყეთ ნერვიულობა, თითოეული საკუთარ თავზე გულმოსული ვიყავით, ერთმანეთს არც კი ველაპარაკებოდით. ალბათ იკითხავთ, რა დაგემართათო? თამაშამდე ვფიქრობდით, რომ მეტოქეებზე ძლიერნი ვიყავით და ამ მოსაზრებას საფუძველიც ჰქონდა. იუგოსლავიის გუნდი ის აღარ იყო, რაც წინა ოლიმპიადაზე. მის თამაშზე უარყოფითად აისახა თაობათა ცვლის პროცესი, რომელიც სწორედ მონრეალის ოლიმპიადას დაემთხვა. წავაგეთ. თამაშის შემდეგ თავი მოვიყარეთ და ვთქვით: რაც მოხდა, მოხდა. ოლიმპიადა ოლიმპიადაა და მოულოდნელობისგან არავინაა დაზღვეული. ახლა ვარიანტების თვლას ნუ დავიწყებთ, ვინ გავა ქვეჯგუფში პირველ ადგილზე. რაც ჩვენ შეგვემთხვა, ის შესაძლოა სხვასაც დაემართოს. ჩვენ კი ბოლომდე უნდა გავაკეთოთ ყველაფერი რაც კი შეგვიძლია“.

დიახ, არ ცდებოდნენ ჩვენი ხელბურთელები, როცა იუგოსლავიასთან წაგების შემდეგ ამბობდნენ: ოლიმპიადაზე ყველანაირი სენსაცია ხდებაო. აი, როგორ წარიმართა ამ გაუგონარი დაძაბულობის ტურნირის სიუჟეტი. ჩვენ ვხვდებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს და საკმაოდ დამაჯერებლად ვამარცხებთ, თუმცა ოლიმპიადის წინ სპეციალისტები გერმანელთა გუნდს ჩვენზე მაღლა აყენებდნენ. „ამ თამაშში ყველაფერი გამოგვდიოდა. მაგრამ ეს იღბალი არ ყოფილა, ბოლოს და ბოლოს მივაგენით ჩვენს თამაშს. ახლა მზად ვიყავით ყველაზე მძაფრი ბრძოლებისთვის“.

ამ მებრძოლი განწყობილებით მოედანზე გამოსულ საბჭოთა გუნდთან შედრკნენ დანიელებიც, ხელბურთის ერთ-ერთი „გრანდები“. თამაშის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე, სადღაც მეორე ტაიმის შუაგულში, ყველაფერი დამთავრებული იყო. ჩვენი გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. მატჩი მხოლოდ ბოლომდე უნდა მიგვეყვანა.

დანიელებთან გამარჯვება, უდავოდ, სასიხარულო იყო ჩვენი გუნდისთვის. მაგრამ, წარმოიდგინეთ, საბჭოთა ხელბურთელები უფრო მეტად იუგოსლავიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების მატჩის ანგარიშმა გაახარა.

„— ის-ის იყო დავამთავრეთ თამაში დანიასთან და გასახდელში წავედით, რომ შემოფრინდა სიხარულისგან ალტაცებული ჩვენი გუნდის წევრი იური ლაგუტინი (მას იმ დღეს დანიელებთან არ უთამაშია): ბიჭებო, იუგოსლავიამ წააგო! თავიდან ხუმრობა გვეგონა, მაგრამ ყოველივე მართალი გამოდგა. აი, ესეც შენი ოლიმპიადა! იუგოსლავიის წაგებამ ქვეჯგუფში I ადგილზე გამოგვიყვანა და ახლა თამაში გველოდა რუმინელებთან, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებთან, ყველაზე ძლიერ გუნდთან, რომელსაც კი ჩვენ შევხვედრივართ“.

რუმინელ ხელბურთელებს რეკომენდაციები არ სჭირდება. მათ მონრეალამდე ოთხჯერ გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონატებში, მაგრამ ოლიმპიური გამარჯვების სიტკბო არ ეგემნათ და, ბუნებრივია, გულით ეწადათ ჩემპიონის ტიტული.

„— მონრეალში, ოლიმპიადის დაწყების წინ, 16 ივლისს ამხანაგური მატჩი გავმართეთ რუმინელებთან და ექვსი ბურთის სხვაობით დავმარცხდით. მაგრამ ფინალში მატჩი ჩვენი უპირატესობით წარიმართა. პირველი ტაიმის მიწურულს ვიგებდით შვიდი ბურთის სხვაობით (9:2). რა მოხდა მანამდე? რუმინელები საშინლად ნერვიულობდნენ, იმდენად დიდი იყო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონების სურვილი ოქროს მედლების მოპოვებისა. ჩვენ კი, როგორი საკვირველიც უნდა იყოს, მშვიდნი და საკუთარ ძალაში დარწმუნებული ვიყავით. ზოგი ჭირი მარგებელია და იუგოსლავიასთან დასანანმა წაგებამ აამაღლა ჩვენი საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც ტურნირის დამთავრებამდე გაგვყვა. თანაც ჩვენმა ჩერნიშოვმა, გახსოვთ, რომელზეც გეუბნებოდით — ცეკვის მოყვარულზე, შეუძლებელი შეძლო: მან პირწმინდად ჩაკეტა მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელი ბერტალანი. სასწაულებს სჩადიოდა მეკარე მიხეილ იშჩენკო. მას სამჯერ მოხვდა თავში რუმინელთა მძლავრად ნატყორცნი ბურთი და მთელი სახე დალურჯებული ჰქონდა. რამდენჯერ გადაარჩინა კარი აშკარა გოლს, ვერ დაითვლიდით. ტაიმის ბოლოს, რუმინელებმა თავგანწირვის ფასად ანგარიშში სხვაობა ხუთ ბურთამდე შეამცირეს. მეორე ტაიმი მათ ასეთივე საბრძოლო განწყობილებით დაიწყეს. გაიმართა მძაფრი ბრძოლა, სადაც ძნელი იყო საუკეთესო გუნდის გამოცნობა. ასე გაგრძელდა 12 წუთის განმავლობაში. ერთბაშად ნერვიულობა დავიწყეთ — თავი უკვე ოლიმპიურ ჩემპიონებად წარმოვიდგინეთ. ნერვიულობას ისიც დაერთო, რომ მოულოდნელად მოიშალა ტაბლო. ბიჭებმა არ იციან რამდენი დროა დარჩენილი მატჩის დამთავრებამდე. ხუთი წუთის მანძილზე ანგარიში არ იცვლება. მე სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ვზივარ და ბიჭებზე ნაკლებად არ ვღელავ. ამ დროს ჩემთან მოდის მწვრთნელი ევტუშენკო და მეუბნება: „ახლა მთავარია ვინ გაიტანს პირველ ბურთს. გახვალ მოედანზე, ყველას დააწყნარებ და შეაგდებ ბურთს. მე მჯერა შენი, გადი მოედანზე და შენ იცი“. გავიფიქრე: ჩემი სჯერათ, ჩემი იმედი აქვთ, უნდა გავამართლო იმედი. მარტო მე ვიცი, რამდენია დარჩენილი თამაშის დამთავრებამდე. ბიჭებს მივმართავ — დარჩა 15 წუთი და ჩვენ ჩემპიონები ვიქნებით. ახლა გოლის გატანაა საჭირო. ვუახლოვდები ვალერი გასის, ვეუბნები: მოდი, კომბინაცია გავითამაშოთ. ეს კომბინაცია ვარჯიშზე გვაქვს დამუშავებული და რა ღმერთი გაგვიწყრება, ახლა არ გაგვიმართლოს. ვალერისგან ვღებულობ ბურთს, ვხტები ბლოკზე მაღლა და ბურთი ბადეშია. როგორც იქნა, გაიხსნა მეტოქის მოჯადოებული კარი... თამაში დამთავრდა. გამარჯვება! მერე ყველაფერი ნისლში იძირება და აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდით. მე ვიყავი ბედნიერი ადამიანი და კიდევ უფრო მეტად შემიყვარდა ხელბურთი“...

როცა საშა ანპილოგოვი ფინალურ მატჩზე მიყვებოდა, იგი ღელავდა როგორც თამაშის დროს. და მე გავიფიქრე, რომ მისთვის მონრეალის ოლიმპიადა დღესაც არ დამთავრებულა, იგი მისთვის სინამდვილეა, ცხადია, და არა მტვერწაყრილი ისტორია.

ა. გოგელია.

ლიდერის პირველი მარცხი

VIII ტური. ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი) — ტ. ჟივაევა (ალმა-ათა) 1:0, ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი) 0,5:0,5, ე. ეპშტეინი (გორკი) — ი. ლევიტინა (ლენინგრადი) 0,5:0,5, ლ. სემიონოვა (კიევი) — ლ. ზაიცევა 1:0, ა. ახშარუმოვა (ორივე — მოსკოვი) — ნ. გურიელი 1:0. პარტიები ტ. ფომინა (ტალინი) — ც. კახაბრიშვილი, ნ. გაფრინდაშვილი — ლ. საუნინა (სვერდლოვსკი), ლ. ბელავენეცი (მოსკოვი) — ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია — მ. ჩიბურდანიძე გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. სემიონოვა — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. ახშარუმოვა — 5,5, ლ. ზაიცევა — 4,5 (2), ნ. გაფრინდაშვილი, ი. ლევიტინა — 4,5-4,5 (1—1), ნ. გურიელი — 4,5.

ახლა ყველა 18 მონაწილეს აქვს წაგება. სემიონოვა — ზაიცევას ცენტრალური შეხვედრა ძალიან მწვავედ მიმდინარეობდა და შავების 27-ე სვლის შემდეგ ასეთი პოზიცია შეიქმნა:

ზაიცევა

სემიონოვა

აქ სემიონოვამ მოულოდნელად შესწირა ლაზიერი ეტლსა და კუში. 28. ე:e4 ე:e7 29. ე:e7 g5?? (სჯობდა 29. ... g6, ან ჯერ 29. ... ლf6 30. ეde1 g6 დაცვითი პოზიციის აგებით) 30. h5 ლc2 31. ეf1 ლ:b2 32. კ:c6 ეc8 (უკეთესი იყო 32. ... ეf8) 33. კd5 ლ:c3 34. ე:f7 ლ:d4 35. კb3 მფh8 36. ეe1 ლd8 37. ეee7 ლg8 38. ე:a7 ეf8 39. ეfc7. შავები დანებდნენ.

ჩანს, ზაიცევა უკეთესად უტევს, ვიდრე თამაშობს დაცვაში.

ახშარუმოვამ მრავალსვლიანი კომბინაცია განახორციელა. გურიელი მატერიალურ უპირატესობას რომ არ დახარბებოდა, შეტევას მოიგერიებდა.

გურიელი

ახშარუმოვა

30. f5 მ:f1 31. f6+ მფh8 32. ე:f1 კc5? (უკეთესი იყო 32. ... კf8) 33. მ:c5 ე:c5 34. ლ:e6! fe 35. f7 ეc8 36. f8ლ+ ე:f8 37. ე:f8+ მფg7 (საჭირო იყო 37. ... ლg8 38. მ:e6 კc8 39. ე:g8+ მფ:g8 40. მc7) 38. მ:e6+ მფh6 39. კf4+ g5 40. ეf6+ ლg6 41. g4! gf 42. ე:g6+ მფ:g6 43. მ:f4+ მფg5 44. gh! შავები დანებდნენ.

გადადებულ პოზიციებში გაფრინდაშვილს საუნინასთან ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს, ალექსანდრია უგებს ჩიბურდანიძეს, კახაბრიშვილი — ფომინას. იოსელიანს ბელავენეცთან ეტლსა და პაიკში ორი ფიგურა აქვს.

ალექსანდრია დანებდა გურიელს VII ტურიდან გადადებულ პარტიაში.

თამაში შეიძლება, მაგალითად, ასე გაგრძელებულიყო: 43. ... მფd6 44. ე:c2+ 45. მფg1 ლc8 46. h8ლ ე:h8 47. ე:f6+ მფc5 48. ლa7+ მფb5 49. ლb6×.

ა. ზვორიკინა,
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო ოსტატი და არბიტრი.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: ნ. ალექსანდრიასა (მარცხნივ) და მ. ჩიბურდანიძის შეხვედრა.

ი. იუნაევის ფოტო.

მონაწილეები

საერთაშორისო ოსტატი ლიუდმილა საუნინა („ტრუდი“, სვერდლოვსკი, 1952 წ.). ინჟინრად მუშაობს ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში. იყო რსფსრ-ს ჩემპიონი, რუსეთის ფედერაციის ქალთა საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი. მისი მწვრთნელია გ. ხარუსი.

ოსტატობის კანდიდატი ტატიანა ჟივაევა („ბურევესტნიკი“, ალმა-ათა, 1957 წ.) პირველად მონაწილეობს საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. მისი საუკეთესო შედეგია V — VII ადგილების გაყოფა ტოლიატის ნახევარფინალში. სწავლობს ყაზახეთის უნივერსიტეტში. მისი მწვრთნელია ა. ნოსკოვი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრები.

I ჯგუფი

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ტაიმის დასასრულს სტუდენტები წინ იყვნენ 2 ბურთის სხვაობით (წვერავა, კვარაცხელია). შემდეგ სტუმრებმა გამოასწორეს მდგომარეობა და ბაბუხადიამ და ჯიშკარიანმა გაქვითეს ორივე გოლი. ინსტიტუტის გუნდს კვლავ მიეცა დაწინაურების საშუალება, მაგრამ 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა კვარაცხელიამ.

„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

„ცისარტყელა“ (წულუკიძე) — „ნადიკვარი“ (თელავი) 0:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „განთიადი“ (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

„კოლხეთი“ (ფოთი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ყველა გოლი გატანილ იქნა თამაშის მეორე ნახევარში. ჯერ ტყებუჩავამ და როხვაძემ ზედიზედ ორჯერ აილეს „ივერიის“ კარი, შემდეგ აბაშიძემ გაქვითა ერთი გოლი, ხოლო როხვაძემ და ხაშურელმა კაჭარავამ (საკუთარ კარში გატანილი ბურთით) ოთხამდე აიყვანეს ანგარიში.

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ცხაკაიელ ფეხბურთელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, გუნდი კი მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა (სახოკია).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა ღონღაძის მიერ გატანილმა ერთადერთმა ბურთმა.

ტურნირში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს პირველ ჯგუფში დარჩენისთვის, ბოლნისის „მადნეულმა“ შინ წააგო ოჩამჩირის „ამირანთან“ — 1:2, ხოლო ასპინძის „ვარძიამ“ და ქობულეთის „შუქურამ“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

II ჯგუფი

I ზონა

„მეშაქრე“ (აგარა) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 2:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:4, „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) — „სამცხე“ (აწყური) 2:1, „ფოლადი“ (რუსთავი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:0, „განახლება“ (ადიგენი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ყინცვისი“ (ქარელი) 3:0, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 2:2.

II ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — ხდკ (სამტრედია) 2:2, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მზიური“ (გალი) 1:0, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 3:0, „ტორპედო“ (გაგრა) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 5:2, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 2:0, „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 2:0.

ბოლო ხანებში ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე კვლავ იმატა დისციპლინის უხეშ დარღვევათა ფაქტებმა. განვლილ მატჩებში მსაჯები იძულებული იყვნენ მინდვრიდან გაეძევებინათ: ვ. არზიანი („ცისარტყელა“, წულუკიძე), რ. ცირეკიძე („პოლიტექნიკოსი“, საგარეჯო), გ. ჭაბაშვილი („ცისკარი“, სიღნაღი), ა. ქუცნაშვილი („ქიმიკოსი“, ახმეტა) და რ. სუდაძე („სამცხე“, აწყური). ეჭვი არაა, წესრიგის დამრღვევი ფეხბურთელები საკადრის სასჯელს მიიღებენ.

ამას გარდა, გაფრთხილებული არიან შემდეგი მოთამაშეები: ვ. ბალათრიშვილი („ნადიკვარი“, თელავი), ბ. მემარნიშვილი, ბ. დუდაროვი და ა. ოვანოვი („ჩიხურა“, საჩხერე), ა. შონია და თ. კვეკვესკირი („მზიური“, გალი), ვ. კობახიძე („პოლიტექნიკოსი“, საგარეჯო), ტ. იოსელიანი და თ. კუხიანიძე („სამგურალი“, წყალტუბო), ო. ხელაშვილი („ცისკარი“, სიღნაღი), დ. გვენეტაძე („მეშახტე“, ტყიბული).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 13 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ფიზკ. ინსტ.	24	16	4	4	61—28	36
„ნადიკვარი“	24	13	7	4	35—9	33
„განთიადი“	24	11	7	6	26—21	29
„მერცხალი“	26	11	7	8	30—26	29
„მეშახტე“	22	11	5	6	28—19	27
„ივერია“	25	10	7	8	33—36	27
„დინამო“	25	10	6	9	44—39	26
ასკ თბ.	25	8	10	7	28—23	26
„სალხინო“	21	8	9	4	36—23	25
„დურუჯი“	26	6	11	9	25—29	23
„კოლხეთი“ ფ.	26	8	6	12	33—33	22
„კოლხეთი“ ხ.	26	8	6	12	26—33	22
„ეგრისი“	26	6	10	10	26—37	22
„ქართლი“	26	8	6	12	23—38	22
„კოლმეურნე“	26	8	5	13	27—42	21
პოლ. ინსტ.	25	8	5	12	29—46	21
„ცისარტყელა“	26	6	8	12	20—34	20
უნივერსიტ.	25	4	9	12	22—36	17

II ჯგუფი

მდგომარეობა 14 ოქტომბრისთვის

I ზონა

„სპარტაკი“	24	18	5	1	68—17	41
„პოლიტექნ.“	23	14	4	5	49—22	32
„ალაზანი“	24	11	8	5	52—32	30
„ფოლადი“	24	13	2	9	39—27	28
„სამცხე“	25	11	5	9	48—46	27
„მესხეთი“	24	9	8	7	53—45	26
„ქიმიკოსი“	24	8	8	8	35—29	24
„ჰერეთი“	22	9	5	8	36—29	23
„ყინცვისი“	24	7	9	8	38—32	23
„განახლება“	24	9	5	10	35—41	23
„მეშაქრე“	25	7	4	14	31—63	18
„ჩამომსხმელი“	25	6	5	14	36—49	17
„არაგვი“ დ.	24	7	3	14	40—76	17
„ცისკარი“	24	5	6	13	25—55	16
„არაგვი“ მ.	22	5	3	14	31—53	13

II ზონა

„ჩიხურა“	26	19	5	2	48—18	43
„მზიური“	26	19	4	3	49—15	42
„სულორი“	26	16	6	4	78—30	38
„ტორპედო“	27	17	4	6	52—21	38
„ენერგეტ.“	26	14	5	7	40—24	33
„ბახმარო“	26	13	4	9	57—36	30
„მექალალდე“	26	12	6	8	51—53	30
„გიგანტი“	26	12	5	9	52—45	29
„შახტიორი“	27	10	8	9	32—35	28
„ავტომობ.“ ბთ.	27	9	5	13	38—55	23
„ავტომობ.“ მ.	26	9	5	12	25—46	23
ხდკ	27	9	4	14	35—36	22
„ნაკადული“	26	8	5	13	38—50	21
„სამგურალი“	27	7	4	16	25—47	18
„მშენებელი“ ბ.	27	3	6	18	22—37	12
„მშენებელი“ ჭ.	26	3	4	19	23—77	10
„სპარტაკი“	25	3	2	20	12—52	8

ფეხბურთი

კიევის „დინამოს“ წარმატება

მადრიდი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ბარსელონაში ამხანაგური მატჩი გამართეს ადგილობრივ „ესპანიოლთან“, რომელიც მიეძღვნა ამ კლუბის ჩამოყალიბების 75 წლისთავს.

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა ონიშჩენკომ. შემდეგ მარანიონმა გაქვითა გოლი. მაგრამ მეორე ტაიმში ბლოხინმა ჯერ პენალტით, ხოლო შემდეგ თამაშიდან გაიტანა კიდევ 2 ბურთი.

მიუხედავად იმისა, რომ დინამოელებმა მატჩი 10 მოთამაშის შემადგენლობით დაამთავრეს (ვერემეევმა ტრავმა მიიღო, ხოლო შეცვლათა ლიმიტი ამოწურული იყო), მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

წინაა პეტროსიანი

სამი დიდოსტატის ოთხწრიან მატჩ-ტურნირში, რომელიც იტალიის ქალაქ ვარესეში მიმდინარეობს, დამთავრდა პირველი წრე. დაწინაურდა ტ. პეტროსიანი, რომელსაც დანებდა ლ. პორტიში გადადებულ პარტიაში. პეტროსიანს 1,5 ქულა აქვს, მ. ტალს — 1 და პორტიშს — 0,5.

ლიდერები არ შეცვლილან

გადადებული პარტიების დამთავრებას სსრ კავშირის ვაჟთა 44-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირის ლიდერთა ჯგუფში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. 6 ტურის შემდეგ ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი) დაეწია ი. დორფმანს (ლვოვი) — 4,5-4,5 ქულა. სვეშნიკოვს დანებდა გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), ხოლო ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) დაუზავდა. მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი) 4 ქულა აქვს. იგი ყაიმზე შეუთანხმდა მ. დვორეცკის (მოსკოვი). 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს დვორეცკიმ, ა. კოჩიევმა (ლენინგრადი), ვ. პერესიპკინმა (კიევი) და ა. პეტროსიანმა (ერევანი).

დრო არ ჰყოფნით

თბილისის ვაჟთა ჩემპიონატში ისეთი დაძაბული თამაში მიმდინარეობს, რომ თითქმის ყველა ტურში ბევრი პარტია დაუმთავრებელი რჩება.

IV ტურში ცხრიდან მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა, დანარჩენი წყვილები დროში ვერ ჩაეტივნენ. ზ. სტურუამ მოუგო ნ. ტერაშვილს, გ. მაჭარაშვილმა — ი. ცქიტიშვილს და დ. გედევანიშვილმა — გ. სიხარულიძეს.

V ტურში კვლავ გაიმარჯვეს სტურუამ (კ. ჩიგოგიძესთან) და მაჭარაშვილმა (ე. კუშჩიანთან). ზედიზედ მესამე პარტია წააგო სიხარულიძემ, ამჯერად მ. ჭიპაშვილთან. მარცხი იწვნია ი. ცქიტიშვილმაც. მას ფ. მელქონიანმა მოუგო. ვ. გოგაძემ სძლია რ. კაპანაძეს, ტერაშვილმა — ა. ჩხაიძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

VI ტურში მხოლოდ ოთხი შედეგი იქნა ფიქსირებული. სიხარულიძემ მოუგო ტერაშვილს, ჭიპაშვილმა — რ. მიქაბერიძეს და გედევანიშვილმა — კაპანაძეს. დაზავდნენ მელქონიანი — კუშჩიანი. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

6 ტურის შემდეგ 15 პარტიაა გადადებული. ლიდერობენ ზ. სტურუა და მ. ჭიპაშვილი — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია, ფ. მელქონიანი — 3,5 (1) და ვ. ვეფხვიშვილი — 3 (3).

პიხაილიჩმა თამაში ააწყო

სუბოტიცაში (იუგოსლავია) გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეთა შორის არიან ევროპის ცნობილი მოჭადრაკეები და საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი (რუმინელი ქ. ბაუმშტარკი, უნგრელები მ. ივანკა, ჟ. ვერეცი).

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატები პიხაილიჩი (იუგოსლავია) — 6 ქულა, ვერეცი, ტ. შტადლერი (იუგოსლავია) — 5-5, ივანკა — 4,5 ბაუმშტარკი — 4.

შესანიშნავად თამაშობს ამალია პიხაილიჩი. სხვათა შორის შარშან იგი თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. III-VII ტურებში იუგოსლაველმა ოსტატმა სძლია ვ. შტადლერს, ტ. შტადლერს, კესეგის (სამივე — იუგოსლავია), ივანკას და დაუზავდა გეორგიევას (ბულგარეთი).

გთავაზობთ სხვა ლიდერების შედეგებს: III ტურში ტ. შტადლერი დაუზავდა მიოლსკას (იუგოსლავია), ვერეცი — პერევოზნიკს (რუმინეთი), ივანკამ მოუგო ჩეიჩს; IV ტურში ვერეციმ სძლია კესინგს, ივანკამ — პროკოპოვიჩს (იუგოსლავია), დაზავდნენ ბაუმშტარკი — ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია); V ტურში. ტ. შტადლერმა დაამარცხა პროპოკოვიჩი, ვერეციმ — ერეტოვა. ყაიმზე შეთანხმდნენ მიოლსკა — ბაუმშტარკი; VI ტურში ივანკამ მოუგო ვ. შტადლერს, ბაუმშტარკმა — ჩეიჩს, ვერეცი დაუზავდა მიოლკას; VII ტურში ვერეციმ მოუგო ჩეიჩს, ტ. შტადლერმა — ვ. შტადლერს. ყაიმზე შეთანხმდნენ პროპოკოვიჩ-ბაუმშტარკი, გეორგიევა-ივანკა.

მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 13 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო — 2“-ს მორიგი, 41-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

„სპორტლოტო“: 1, 15, 16, 26, 30, 35.

„სპორტლოტო-2“: 14, 16, 21, 22, 34, 35.

(საკდესი).

მორიგი ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი ტირაჟების შედეგები, რომელიც 9 ოქტომბერს მოსკოვში მოეწყო.

პირველი ტირაჟი: 5 ნომერი ვერავინ გამოიცნო, ოთხი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 261 მანეთია (1082 ბარათი), სამი ნომრისთვის — 7 (37733).

მეორე ტირაჟი: 5 ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (8), ოთხისთვის — 136 (1795). სამისთვის —5 (52304).

მოგებული თანხა გაიცემა 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით.

(საკდესი).

გამარჯვებისთვის — სამი ქულა

ჰოლანდიისა და შვეციის რეგბისტთა ნაკრები გუნდების მატჩით, რომელიც ჰოლანდიელებმა მოიგეს ანგარიშით 32:3, დაიწყო ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ტურნირი „ბ“ ჯგუფში, რომელშიც გამოდის საბჭოთა გუნდიც. სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები გათამაშებაში ჩაებმება 17 ოქტომბერს, როცა პრაღაში შეხვდება ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს. ჯერჯერობით ლიდერობა ხელთ იგდეს ჰოლანდიელმა რეგბისტებმა, რომელთაც სამი ქულა აქვთ შვეციის გუნდთან გამარჯვებისთვის (მატჩის მოგებისთვის გუნდს ეწერება 3, ფრედ დამთავრებისთვის — 2, დამარცხებისთვის — 1 ქულა).

ევროპის პირველობის ჩატარების წესები მეტად მკაცრია. შეჯიბრება ტარდება ერთ წრედ. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე გუნდი დააგროვებს ქულათა თანაბარ რაოდენობას, უპირატესობა ეძლევა იმ კოლექტივს, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აღმოაჩნდება. ზემოჩამოთვლილი ოთხი გუნდის გარდა „ბ“ ჯგუფში ითამაშებენ გფრ-ის წარმომადგენლებიც. ჩეხოსლოვაკიელ რეგბისტებთან მატჩის შემდეგ საბჭოთა გუნდი შეხვდება შვედებს (30 ოქტომბერს), დასავლეთგერმანელებს (16 აპრილს) და ჰოლანდიელებს (2 მაისს). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რეგბისტებს აქამდე არასოდეს უთამაშიათ ამ ქვეყნების წარმომადგენლებთან, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებთან ჩვენს ნაკრებს ჩატარებული აქვს ორი მატჩი (1 მოგება, 1 წაგება).

„ა“ ჯგუფში ითამაშებენ საფრანგეთის, იტალიის, რუმინეთის, პოლონეთის, ესპანეთისა და მაროკოს გუნდები. ამ კოლექტივებიდან ყველაზე ძლიერია საფრანგეთის ნაკრები, რომელიც ათჯერ ფლობდა კონტინენტის ჩემპიონის სახელს და ეს ტიტული მხოლოდ ორჯერ დაუთმო რუმინელ სპორტსმენებს.

ნასტასეს გამარჯვება

კარაკასში (ვენესუელა) მოეწყო მსოფლიოს 4 უძლიერესი ჩოგბურთელის—ბიორნ ბორგის (შვეცია), ჯიმი კონორსის (აშშ), ილიე ნასტასესა (რუმინეთი) და ადრიანო პანატას (იტალია) შეჯიბრება, რომელიც წრიული სისტემით გაიმართა.

კონორსმა სძლია ბორგს 6:4, 5:7, 6:3, ნასტასემ — პანატას 6:7, 6:2, 6:4, კონორსმა — პანატას 7:6, 3:6, 7,5, ნასტასემ — ბორგს 7:6, 1:6, 7:5, ბორგმა — პანატას 6:3, 6:1.

პირველი პრიზის ბედი უნდა გადაეწყვიტა ნასტასესა და კონორსის შეხვედრას. გამარჯვება ნასტასეს ჩაეთვალა, რადგან იგი წინ იყო (6:3), როდესაც კონორსმა ტრავმის გამო ველარ შეძლო თამაშის გაგრძელება.

კიდევ ერთი ცდა

ატლანტის ოკეანეზე კვლავ დიდი საჰაერო ბურთი მიფრინავს. მის გონდოლაში კიდევ ერთი მამაცი ადამიანია: ამერიკელი ედვარდ იოსტი, რომელმაც გადაწყვიტა ევროპაში ჩაფრენილიყო. 57 წლის საჰაერო მოცურავე 5 ოქტომბერს საღამოს მენის შტატის ქალაქ მილბრიჯში ჰაერში ავიდა და ფიქრობს 4–5 დღის შემდეგ ევროპის მიწაზე ფეხის დადგმას. გონდოლა, რომელიც ჰელიუმით სავსე საჰაერო ბურთზეა დაკიდებული, კავშირგაბმულობის აპარატურით არის აღჭურვილი. საჰაერო ბურთის დიამეტრი თითქმის 30 მეტრია.

ტრანსატლანტიკური ფრენა, რომელსაც ნაწილობრივ ჟურნალი „ნეშნლ ჯიოგრეფიკი“ აფინანსებს, თითქმის წლინახევრის მანძილზე მზადდებოდა.

ეს გადაფრენა მსგავს აპარატზე პირველი ცდა როდია. არც ერთი წინა მოგზაურობა წარმატებით არ დასრულებულა. ბოლოსწინაც მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოეწყო და ადამიანი იძულებული გახდა საჰაერო ბურთი დაეტოვებინა და გასაბერი აპარატით ემშველა თავისთვის, სანამ ის საბჭოთა მეზღვაურებმა არ გადაარჩინეს.

ზემარათონი

ავსტრალიელმა სტაიერმა ჯორჯ პადონმა გადაწყვიტა მსოფლიოს ნებისმიერ მძლეოსანს შეეჯიბროს. იგი თანახმაა შეეჯიბროს მას ისეთ გრძელ დისტანციაზე, რომელიც ჯერ ადამიანს არ დაუძლევია.

პადონმა წინადადება მისცა ავსტრალიის გარშემო 19200 კილომეტრზე ირბინოს და ეს შეჯიბრება დაიწყოს 1977 წლის მაისში მელბურნში. ასეთი დიდი მანძილი რომ დაფაროს, როგორც გაზეთი „ჰერალდი“ იუწყება, საჭირო იქნება დაახლოებით 8 თვე.

ახლა პადონი ვარჯიშობს და ყოველდღიურად საშუალოდ 35 კილომეტრს დარბის. „ვერ წარმომიდგენია, თუ ვისმეს შეუძლია ჩემთან გამარჯვება“, — თქვა მან, 9 ოქტომბერს ალბერტ-პარკ-ლეიკში 52 წლის სპორტსმენი შეეცადა მსოფლიო რეკორდი დაემყარებინა: 24 საათში 264 კილომეტრი გაერბინა.

ფეხბურთი. უმაღლესი ლიგის დუბლიორთა გუნდების საკავშირო გათამაშება. „ლოკომოტივის“ სტადიონი. დღეს. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი). დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). სსრ კავშირის ქალთა XXXVI ჩემპიონატის ფინალი. 14-28 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს მონაწილენი ისვენებენ. 15-ში შედგება IX ტური, 16-ში — X, 17-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი. 14-30 ოქტომბერი. 14 ოქტომბერს გაიმართება VII ტური, 15-ში — VIII, 16-ში — IX, 17-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 18 ს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14.

უე 13919